საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მერკულა

მერკულა, სოფელი აფხაზეთის არ-ის ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. მოქვის ნაპირას, ზ. დ. 40 *მ.* ადმ. ერთეულის ცენტრი. ოჩამჩირიდან 7 *კმ*.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში. ვარაუდობენ, რომ XVI–XVII სს-ში მდ. მოქვზე ხომალდები მოძრაობდნენ. სოფელში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხისა და ეკლესიის ნანგრევები. სოფელი ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.